ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ” შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” შესაბამისად (წესდება თან ერთვის).

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ.ბ” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ (ს/კ242008778) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (წესდება თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელიამ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის

წ ე ს დ ე ბ ა

ჩოხატაური

2015 წელი

დამტკიცებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებლის 2015 წლის ---- ---------- N ---**-----**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების – ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი–სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა არის სამართალმემკვიდრე ყოფილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დ. ჩოხატაურის

სამუსიკო სკოლისა, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დაწყებით საფეხურზე.

2. სამუსიკო სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
3. სამუსიკო სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
4. სამუსიკო სკოლა საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.
6. სამუსიკო სკოლის იურიდიული მისამართია: დ. ჩოხატაური, მარის ქ №1.
7. სამუსიკო სკოლის ელექტრონული ფოსტა –samusikoskola 1960@mail.ru

მუხლი 2. სამუსიკო სკოლის მიზნები და ამოცანები

1. სამუსიკო სკოლის მიზნებია:

ა) მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება, სწავლების ხანგრძლივობა 6 წელი;

ბ) შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედები მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

2. სამუსიკო სკოლის ამოცანებია:

ა) აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს;

ბ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები;

გ) კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები;

დ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური ხელოვნების ჩამოყალიბებაზე.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

1. სამუსიკო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების საფუძველზე.
2. სამუსიკო სკოლაში ხორციელდება დაწყებითი საფორტეპიანო სახელოვნებო და საორკესტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
3. სამუსიკო სკოლაში მიღება თავისუფალია მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან.
4. იმ შემთხვევაში თუ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება მისაღებ კონტიგენტს, სკოლაში ტარდება შესარჩევი კონკურსი შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
5. ცალკეულ შემთხვევაში გამონაკლისის სახით, სკოლაში დასაშვებია როგორც უფროსი, ასევე უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჩარიცხვა შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
6. სამუსიკო სკოლაში მისაღებ კონტიგენტს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი, მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით.
7. სამუსიკო სკოლას უფლება აქვს განახორციელოს ფასიანი მომსახურება ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის (სწავლების შესაბამისი პროგრამებით).
8. სამუსიკო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს:

   ა) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

   ბ) კონკურსის შემთხვევაში – მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

9. სამუსიკო სკოლაში შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.
10. სამუსიკო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური, ჯგუფური გაკვეთილი და კლასგარეშე მუშაობა.
11. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე გაკვეთილზე გამოკითხვა, პერიოდული-ღია და დახურული კონცერტები, საკონტროლო გაკვეთილები, ჩათვლები და გამოცდები.
12. სამუსიკო სკოლის დასრულებისას გაიცემა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. სამუსიკო სკოლის სტრუქტურა და მართვა

1. სამუსიკო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: ძირითადი-სასწავლო და დამხმარე-სასწავლო სტრუქურული ერთეულები.
2. სამუსიკო სკოლას მართავს ადმინისტრაცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი) და პედაგოგიური საბჭო.
3. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის ყველა პედაგოგი.
4. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს სამუსიკო სკოლის დირექტორი.
5. პედაგოგიური საბჭო:

ა) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;

ბ) ადგენს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

გ) განიხილავს დირექტორის მიერ შემუშავებულ სასკოლო წლიურ სამუშაო გეგმას;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;

ე) ისმენს დირექტორის, დირექტორის მოადგილის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სხვათა ანგარიშს (ინფორმაციას) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

ვ) იხილავს სამუსიკო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, სასკოლო სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

6. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.

7. სამუსიკო სკოლის საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

8. სამუსიკო სკოლის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი განათლების, ან საშუალო პროფესიული სამუსიკო განათლების მქონე პიროვნება.

9. სამუსიკო სკოლის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს სამუსიკო სკოლის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სამუსიკო სკოლის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სამუსიკო სკოლას ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

დ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სამუსიკო სკოლის ქონებასა და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამუსიკო სკოლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე, ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს სკოლის თანამშრომლებსა და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. განსაზღვრავს პედაგოგთა დატვირთვის და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, წყვეტს მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხს;

თ) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით – ადგენს მისაღები კონტიგენტის პროექტს, შეიმუშავებს და ამტკიცებს სამუსიკო სკოლის შინაგანაწესს, წლიურ ანგარიშს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ი) ამტკიცებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

კ) სამუსიკო სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს წინასწარ ათანხმებს პედაგოგიურ საბჭოსთან და დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

ლ) მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს ფასიანი სწავლების შემოღების საკითხსა და გადასახადის ოდენობას;

მ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები.

10. დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პიროვნება.

დირექტორის მოადგილე:

ა) პასუხისმგებელია სასწავლო-შემოქმედებით პროცესზე;
ბ) დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობებს.

მუხლი 5. სამუსიკო სკოლის პედაგოგი, კონცერტმეისტერი, სასწავლო-დამხმარე პერსონალი

1. სამუსიკო სკოლის პედაგოგად და კონტერტმეისტერად მუშაობის უფლება აქვს შესაბამისი სამუსიკო განათლების მქონე პირს, იგი უნდა ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად.
2. სამუსიკო სკოლის სასწავლო-დამხმარე პერსონალს წარმოადგენს სამუსიკო სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული მუშაკები.
3. სამუსიკო სკოლის პედაგოგის, კონცერტმეისტერისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 6. სამუსიკო სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სამუსიკო სკოლას გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სამუსიკო სკოლის დაფინანსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სამუსიკო სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, სკოლის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.
4. სამუსიკო სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.
5. სამუსიკო სკოლის საფინანსო საქმიანობას ამოწმებს სამუსიკო სკოლის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 7. საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სამუსიკო სკოლას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

   ა) უძრავი ქონების შეძენა;

   ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები სამუსიკო სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. სამუსიკო სკოლის კონტროლი

1. სამუსიკო სკოლის კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. სამუსიკო სკოლის კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
3. სამუსიკო სკოლა ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.
4. სამუსიკო სკოლა უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 9. სამუსიკო სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება გამგებლის გადაწყვეტილებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.
2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 10. სამუსიკო სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

სამუსიკო სკოლის წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ.

დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ” განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებლი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : *ბექა შენგელია*